

## არქიტექტურის, საინჟინრო გრაფიკისა და კომპიუტერული გრაფიკის კონკურსის

### დებულება

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ არქიტექტურისა და ინჟინერიის მიმართულება ატარებს კონკურსს არქიტექტურით, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის. კონკურსი მოიცავს სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თემას (საინჟინრო გრაფიკა, არქიტექტურა და კომპიუტერული გრაფიკა)

#### მუხლი 1. კონკურსის ჩატარების მიზანი:

1. კონკურსის მიზანია:
  - 1.1. ახალგაზრდებში განათლების ხელშეწყობა;
  - 1.2. მიღებული ცოდნის, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარების განვითარება;
  - 1.3. ზოგადი სივრცითი აზროვნების, შემოქმედებითობის კომპოზიციის, პროპორციისა და ესთეტიკურობის შეგრძნების გამომჟღავნება და განვითარება;
  - 1.4. სამგანზომილებიანი მოცულობის აღქმის გამომჟღავნება და განვითარება;
  - 1.5. ახალგაზრდებში შემოქმედებითობის, კვლევის, საჯარო გამოსვლის და პრეზენტაციის უნარების განვითარება.

#### მუხლი 2. კონკურსის მართვა და ძირითადი წესები

- 2.1 კონკურსი ტარდება ქართულ ენაზე.
- 2.2 კონკურსის დაწყების/დასრულების თარიღი განისაზღვრება სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 2.3 კონკურსის ჩატარების მიზნით ეროვნული სასახლის დირექტორი, შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს კონკურსის საორგანიზაციო, შემფასებელ და სააპელაციო კომისიებს.
- 2.4 კონკურსს ხელმძღვანელობს საორგანიზაციო კომისია, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს მიღებული ნაშრომების შესაბამისობა ამ დებულებითა და შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ წესებთან.
- 2.5 კონკურსის შემფასებელი კომისია უზრუნველყოფს ნაშრომთა შეფასებას ამ დებულებისა და შესაბამისი დანართით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.
- 2.6 კონკურსის სააპელაციო კომისია ამ დებულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, განიხილავს სააპელაციო საჩივრებს და ამზადებს არგუმენტირებულ დასკვნას
- 2.7 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს 12-18 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას;

#### მუხლი 3. მოთხოვნები საკონკურსო ნაშრომისადმი

- 3.1 საკონკურსო დავალება განისაზღვრება სასახლის დირექტორის, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.
- 3.2 ნაშრომის დამზადება შეიძლება ავტორისათვის სასურველი და ხელსაყრელი მასალით (დეტალის ზედაპირის განფენის მიხედვით), რომლის საშუალებითაც აჩვენებს საკუთარ შემოქმედებით აზროვნებას;

- 3.3 წარმოდგენილი ნაშრომს უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი ავტორი;
- 3.4 ნაშრომები/აპელაცია იგზავნება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [architectureengineering.np@gmail.com](mailto:architectureengineering.np@gmail.com) დანართი N1-ით განსაზღვრულ სარეგისტრაციო ფორმასთან ერთად.
- 3.5 მონაწილეებმა უნდა ჩაწერონ ნაშრომის 3-5 წუთიანი პრეზენტაცია, რომელსაც ატვირთავენ ელექტრონულ პლატფორმაზე [www.youtube.com](http://www.youtube.com) ან [www.wetransfer.com](http://www.wetransfer.com) . ელექტრონულ პლატფორმაზე ატვირთული ფაილის ბმული და ნაშრომი ელექტრონულ ფოსტაზე იგზავნება ერთად, დანართი N1-ით განსაზღვრულ შევსებულ სარეგისტრაციო ფორმასთან ერთად.
- 3.6 სასახლის გადაწყვეტილებით, ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია შეიცვალოს ნაშრომთა წარმოდგენის წესი.
- 3.7 კონკურსზე წარმოდგენილი ნაშრომი ჩაითვლება მიღებულად სარეგისტრაციო ფორმის სათანადოდ შევსების, ნაშრომისა და ვიდეოპრეზენტაციის ბმულის გაგზავნისა და მონაწილის მიერ მითითებული ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული დამადასტურებელი შეტყობინების მიღების შემდეგ.

#### **მუხლი 4. ნაშრომთა შეფასების პროცედურა**

- 4.1 მონაწილის მიერ გამოგზავნილი ნაშრომის შესაბამისობას ამ დებულებასა და შესაბამის ბრძანებასთან ამოწმებს საორგანიზაციო კომისია. ნაშრომის განსაზღვრულ წესებთან თანხვედრის შემთხვევაში, ნაშრომები იგზავნება შემფასებელ კომისიას.
- 4.2 კონკურსში წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება შემფასებელი კომისიის მიერ ამ დებულებისა და შესაბამისი დანართით განსაზღვრული წესების შესაბამისად;
- 4.3 წარმოდგენილი ნაშრომები შეფასდება არაუმეტეს 35 ქულით;
- 4.4 მონაწილეები, რომლებიც მიიღებენ ყველაზე მაღალ შეფასებას, გახდებიან პირველი და მეორე ადგილის მფლობელები;
- 4.5 მონაწილეები, რომლებიც ვერ გახდნენ პირველი და მეორე ადგილის მფლობელები და რომელთა ნაშრომმაც დააგროვა მიიღო 16 ქულა, მიიღებენ სიგელებს.
- 4.6 კონკურსის შემფასებელი კომისიის წარდგინებისა და სასახლის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დამატებით სიგელებისა და ჯილდოების გაცემა;
- 4.7 ნაშრომთა შეფასების შედეგად მიღებული ქულები გამოქვეყნდება სასახლის ოფიციალურ ციფრულ პლატფორმაზე (ვებ-გვერდი, სოც.მედია ან/და სხვა);
- 4.8 კონკურსის მონაწილეებთან კომუნიკაციისათვის/მიღებული ქულების გამოქვეყნებისათვის ეროვნული სასახლე იტოვებს უფლებას აირჩიოს შეტყობინების სხვა ფორმებიც;
- 4.10. ნაშრომი არ განიხილება და არ შეფასდება:
- თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ დებულებით და შესაბამისი გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
  - პლაგიატი პუბლიკაციებიდან, სახელმძღვანელოებიდან ან ინტერნეტ საიტებიდან.
  - თუ ნაშრომის შინაარსი არ ემთხვევა კონკურსის დადგენილ თემატიკას.

#### **მუხლი 5. აპელაცია**

- 5.1 კონკურსში წარმოდგენილი ნაშრომების ქულების გამოქვეყნების შემდეგ ავტორებს არგუმენტირებული (წერილობითი) აპელირებისთვის ეძლევათ 5 (სამუშაო) დღე. სააპელაციო საჩივარი მონაწილეებმა უნდა წარადგინონ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: [architectureengineering.np@gmail.com](mailto:architectureengineering.np@gmail.com)

5.2 სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო კომისია, რომელიც იქმნება და მისი წევრები ინიშნებიან სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. კომისია შედგება პირებისაგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ნაშრომთა შეფასებაში.

5.3 სააპელაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია თავდაპირველად მიღებული შეფასების როგორც გაზრდა, ისე შემცირება.

5.4 სააპელაციო კომისია ვალდებულია აპელაციების მიღების დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში პასუხი გასცეს სადავო ნაშრომის ავტორს.

### დანართი N1 - სარეგისტრაციო ფორმა

- სახელი: .....
- გვარი: .....
- რაიონი/ქალაქი/სოფელი: .....
- სკოლა: .....
- კლასი: .....
- საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა:  
.....
- კონკურსი:
  1. საინჟინრო გრაფიკა
  2. არქიტექტურა
  3. კომპიუტერული გრაფიკა

### დანართი N2

#### შეფასების კრიტერიუმები საინჟინრო გრაფიკისთვის

- კომპოზიციური ბალანსი - 10 ქულა
- გეომეტრიული სხეულების თანაკვეთის სირთულე - 10 ქულა
- ესთეტიკურობა - 5 ქულა
- პრეზენტაცია (3-5 წუთი) - 10 ქულა

ჯამური ქულა - 35

გადასალახავი ბარიერი - 15 ქულა

#### დანართი N3 შეფასების კრიტერიუმები არქიტექტურისათვის

- პრაქტიკულობა - 10 ქულა

- ესთეტიკურობა - 5 ქულა
- კრეატიულობა - 10 ქულა
- პრეზენტაცია (3-5 წუთი) - 10 ქულა
- ჯამური ქულა - 35
- გადასალახავი ბარიერი - 15 ქულა

#### დანართი N4 შეფასების კრიტერიუმები კომპიუტერული გრაფიკისათვის

- ობიექტის შემოტანა - 5 ქულა
- ფუნჯები - 5 ქულა
- განათებები - 5 ქულა
- ჩრდილები - 5 ქულა
- რეტუმირება - 5 ქულა
- პრეზენტაცია (3-5 წუთი) - 10 ქულა
- ჯამური ქულა - 35
- გადასალახავი ბარიერი - 15 ქულა